ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

08 ივლისი 2025

N 311

ქ. თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ა(ა)იპ „საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის“ (საბფმფ) ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების მომსახურების მიმწოდებლად აღიარებისა და განგრძობითი განათლების სასწავლო კურსის პროგრამის შეთანხმების თაობაზე

„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2023 წლის 23 აგვისტოს №ნ-8 ბრძანებით დამტკიცებული წესის (შემდგომ — წესი) შესაბამისად, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის (შემდგომ — სამსახური) წარდგენილ იქნა, ა(ა)იპ „საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის“ (საბფმფ) (ს/კ: 404921670) 2025 წლის 26 ივნისის განცხადება (რეგისტრაციის N104533/16) ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების მომსახურების მიმწოდებლად აღიარებისა და განგრძობითი განათლების სასწავლო კურსის პროგრამის შეთანხმების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და წესის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დასრულდეს ა(ა)იპ „საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის“ (საბფმფ) (ს/კ: 404921670) ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების მომსახურების მიმწოდებლად აღიარებასა და განგრძობითი განათლების სასწავლო კურსის პროგრამის შეთანხმებასთან დაკავშირებული წარმოება.

2. მოთხოვნა დაკმაყოფილდეს. ა(ა)იპ „საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაცია“ (საბფმფ) (ს/კ: 404921670) აღიარდეს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების მომსახურების მიმწოდებლად 2025 კალენდარული წლის პერიოდისთვის და შეთანხმებულად ჩაითვალოს 2025 წლის 26 ივნისის განცხადებით (რეგისტრაციის N104533/16) სამსახურისთვის წარმოდგენილი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების სასწავლო კურსის პროგრამა.

3. მიენიჭოს ა(ა)იპ „საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიულ ფედერაციას“ (საბფმფ) (ს/კ: 404921670) ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის

დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების სასწავლო კურსის ნომერი — SARAS-AMLCFTCPD-08/25.

4. დაევალოს ა(ა)იპ „საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიულ ფედერაციას“ (საბფმფ) (ს/კ: 404921670) სამსახურთან შეთანხმებული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების სასწავლო კურსის პროგრამის საჯაროდ განთავსება.

5. ა(ა)იპ „საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის“ (საბფმფ) (ს/კ: 404921670) მიერ წესის მოთხოვნების დარღვევა გამოიწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

6. დაევალოს სამსახურის შესაბამის თანამშრომლებს მონიტორინგი გაუწიონ ა(ა)იპ „საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის“ (საბფმფ) (ს/კ: 404921670) მიერ სამსახურისთვის წარმოდგენილ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების სასწავლო კურსს.

7. ინფორმაცია ა(ა)იპ „საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის“ (საბფმფ) (ს/კ: 404921670) ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების მომსახურების მიმწოდებლად აღიარების თაობაზე განთავსდეს სამსახურის ვებგვერდზე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით მჭედლიძე

სამსახურის უფროსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

https://edoc.mof.ge/public/#/311-16-4-202507081614

ელექტრონული ხელმოწერა/ QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE